სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

07783091216714

07783091216714

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N140034694

N140034694

რეგისტრაციის თარიღი

16.01.2014 წ

ნოტარიუსი: ხატია შერგელაშვილი
მისამართი: საქართველო ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის გამზირი #116
ტელეფონი: 959032

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორი ათას თოთხმეტი წლის თექვსმეტ იანვარს მე, ხატია შერგელაშვილს, ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №116
მომმართა შპს **"სიტი ემ"-ის** (მის.: ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონში, თავისუფლების მ. . №4. ბ.13; ს/კ №204497295) დირექტორმა
ისრაელის მოქალაქე **იციკ მოშემ** (დაბადებული 31.12.1959წ. მცხოვრები: ისრაელი, ქ. აშდოდი, თელხაის ქ№17, პასპორტის №21027204, პირადი №01422314-3 გაცემული 20.11.2013. მოქმედების ვადა: 19.11.2023წ.)
და განაცხადა, რომ წარმოადგენს შპს **"სიტი ემ"-ის** დირექტორს და სურს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში გასცეს მინდობილობა საქართველოს მოქალაქე **კახაბერ დეკანოიძეზე** (დაბ.: 20.11.1974წ. პირადი ნომერი №01008022301)
მე შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წაიკითხა ჩემი თანდასწრებით ისრაელის მოქალაქე იციკ მოშემ და განაცხადა, რომ მინდობილობა სრულიად გამოხატავს მის ნებას და შემდგომ მოაწერა მას ხელი.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, შპს **"სიტი ემ"-ის** (მის.: ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონში, თავისუფლების მ. №4. ბ.13; ს/კ №204497295) დირექტორი
ისრაელის მოქალაქე **იციკ მოშე** (დაბადებული 31.12.1959წ. მცხოვრები: ისრაელი, ქ. აშდოდი, თელხაის ქ№17, პასპორტის №21027204, პირადი №01422314-3 გაცემული 20.11.2013. მოქმედების ვადა: 19.11.2023წ.)
ამ მინდობილობით უფლებამოსილებას ვანიჭებ კახაბერ დეკანოიძეს (დაბ.: 20.11.1974წ. პირადი ნომერი №01008022301)
მასზედ, რომ მან შეიტანოს განაცხადი თბილისის არქიტექტურის სამსახურში საზოგადოების სახელზე რიცხულ მშენებლობასთან დაკავშირებით ნებართვის მიღებასა და გაგრძელებაზე. უძრავი ქონება (მშენებლობა) მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, გუდიაშვილის ქ. №3; საკადასტრო კოდი: №01.15.04.027.004. მინდობილი პირი უფლებამოსილია შეიტანოს და ხელი მოაწეროს ნებისმიერ განცხადებას, გააგზავნოს მოთხოვნები, განცხადებები და გაასწოროს ხარვეზები ელექტრონული ფორმით, განახორციელოს ნებისმიერი იურიდიული ქმედება მიმართული საზოგადოების უძრავ ქონებაზე მიმდინარე მშენებლობის ნებართვის მიღებისა და გაგრძელებისაკენ.
აღნიშნული მინდობილობის განსახორციელებლად მინდობილი პირი უფლებამოსილია შ.პ.ს. „სიტი ემ“ წარმოადგინოს ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირთან, მათ შორის ქ. თბილისის მერიის არქიტექტურულ სამსახურთან და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტს, შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება და ყველა ის პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის აღმოფხვრას და გაასწოროს ყველა შესაძლო ხარვეზი.
მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით.

შპს **"სიტი ემ"-ის დირექტორი**

იციკ მოშე _____

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური 1-ლარი და რეგისტრაციის საფასური 2 ლარი საქართველოს მთავრობის დადგენილება №507. (29.12.2011წ.) სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 31-ე მუხლისა და 39-ე მუხლის თანახმად.

ნოტარიუსი ხატია შერგელაშვილი